


ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ავტოთვითმცლელებიდან ჩამოცლის ადგილი(გ-1)

ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) საწყობი (გ-2)

სილოსებში ცემენტის ჩატვირთვა (გ-3)

ნედლეულის (ქვიშა-ღორღის) ბუნკერებში ჩაყრა(გ-4)

ინერტული მასალის ლენტური ტრანსპორტიორით გადაადგილება(გ-5)

ნედლეულის(ქვიშა-ღორღის) ვაგონეტში ჩაყრა (გ-6)

ბეტონის შემრევი დანადგარი (გ-7)

რკინის დამუშავების უბანი(გ-8)

წერილის ნომერი: **18-01252051171**
თარიღი: **24/07/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01252023643
წერილის თარიღი:	21 ივლისი, 2025
განმცხადებელი:	რამაზი ხვედელიძე
განაცხადის N	AR11098574
მისამართი	ქალაქი თბილისი, ზაჰესი
საკადასტრო კოდი:	01.72.12.104.013
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ქარხანა; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე	შპს ''მშენ-2014''
არსებული ფუნქციური ზონა:	სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
არსებული შეზღუდვები	--------
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	ფოტომასალა
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილი; საქართველოს კანონის „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ მე-6 და მე-7 მუხლები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ.ზ“ ქვეპუნქტი;

დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ი“, „კ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით N52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1, მე-3, 29-ე, 30-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის ეტაპზე მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე უნდა **წარმოადგინოს მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა,** რომელიც უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული თითოეული ნარგავის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მწვანე ნარგავების გადარგვისა და შემდგომი გახარების შესაძლებლობის თაობაზე და **მცენარეების (ნუმერაციის მიხედვით) სრულად ამსახველ ფერად ფოტომასალას, სადაც გამოჩნდება მთლიანი ხის ვარჯი და ღერო.** ასევე, დაინტერესებულმა პირმა უნდა **წარმოადგინოს ტოპო. გეგმა,** რომელზეც საპროექტო შენობის განთავსების სქემასთან ერთად, დატანილი იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული თითოეული მწვანე ნარგავი ნუმერაციის მიხედვით, საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის არსებული მანძილების აღნიშვნით (მანძილები მითითებული უნდა იყოს თითოეული ნარგავიდან საპროექტო შენობამდე).

იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე არ არის ნარგავები, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი საექსპერტო დასკვნა, რომელიც დაადასტურებს ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არარსებობას.

ამრიგად, სამსახური მოთხოვნილ საკითხთან დაკავშირებით იმსჯელებს მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდეგ.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი